სწავლების მეთოდიკა
Methodic of Teaching

ზედსართავი სახელების სწავლება ქართულში A1-C1დონეების მიხედვით (ენათა ევროპული ჩარჩოს შესაბამისად)

ნანა შავთვალაძე
საქართველოს უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო
e-mail: nana.shavtvaladze@ug.edu.ge
https://doi.org/10.52340/lac.2026.36.26
SJIF 2026: 8.679

ქართული ენის, როგორც უცხო ენის, სწავლების პროცესში მეტყველების თითოეული ნაწილის გრადაცია მკაცრ მეთოდოლოგიურ ბადეს ეფუძნება. თუკი დამწყებ საფეხურებზე (A1-B1) აქცენტი ძირითადად მარტივ სტრუქტურებზე, მხოლობითი/მრავლობითი რიცხვის შეთანხმებასა და ძირითად თვისების გამომხატველ ზედსართავებზე კეთდება, B2 და C1 დონეებზე სურათი რადიკალურად იცვლება — მახვილი გადადის სინტაქსურ ნიუანსებზე, კომპოზიტებზე, სტილისტურ ფერადოვნებაზე, ზმნიზედურ-ზედსართავი წარმომავლობის ფორმებსა და მეტაფორულ კონტექსტებზე. ჩვენი სტატიის მიზანი კი ერთიანად ამ მეტყველების ნაწილის ფუნქციის, არისა და ქმედების ჩვენების მიზანია. ქართულის, როგორც უცხო ენის სწავლებაში (სერია „ბილიკი“, „სემიტა.ენის სკოლა“) მეტყველების თითოეული ნაწილის გრადაცია მკაცრ მეთოდოლოგიურ ბადეს ეფუძნება. ზედსართავი სახელების წარდგენისა და ფუნქციური განშლის სისტემა ენათა ევროპული ჩარჩოს (CEFR) ექვსდონიანი სკალის შესაბამისად შემდეგნაირად გამოიყურება:

A1 დონეზე ყურადღება ეთმობა ძირითად თვისებებსა და კონკრეტულ ნიშნებს — უმარტივესი ფიზიკური მახასიათებლების, ფერების, ზომისა და გემოს გამოხატვას უშუალო გარემოში მარტივი ზედსართავი სახელების (დიდი, პატარა, წითელი, შავი, კარგი, ცხელი), ძირითადი ბრუნვებისა და არსებით სახელთან შეთანხმების გამოყენებით.

A2 დონეზე იზრდება მოთხოვნა საგნებისა და ადამიანების დეტალურ აღწერაზე, პირველად ფსიქოლოგიურ მდგომარეობასა და შედარებით ხარისხზე, სადაც აქტიურად გამოიყენება შედარებითი ხარისხის წარმოება (უფრო დიდი, ყველაზე კარგი) და ხასიათის/განწყობის აღმნიშვნელი ფორმები (კეთილი, მეგობრული, დაღლილი).

B1 დონე უკვე მოიცავს აბსტრაქტულ ცნებებსა და მრავალკომპონენტიან აღწერებს, რთული ატრიბუტებისა და ხარისხობრივი ნიშნების გადმოცემას, სადაც ერთვება ფუძეწარმოქმნილი და რთული ზედსართავები, ზედსართავთა სუბსტანტივირება (არსებითივით გამოყენება: მშვენიერი / მშვენიერნი) და აბსტრაქტული ცნებები (რთული, ეფექტური, აუცილებელი).

B2 დონეზე ყურადღება გადადის სტილისტურ ნიუანსებზე, რთულ კომპოზიტებსა და ეპითეტებზე, რაც ემსახურება მხატვრული და პუბლიცისტური მეტყველების ელემენტების, ემოციური დამოკიდებულებისა და შეფასების ფაქიზი ნიუანსების ათვისებას მრავალფუძიანი კომპოზიტების (გულმოდგინე, თავდადებული), აფექტურ-ექსპრესიული შეფასებებისა და შემოკლებული ფორმების გამოყენებით.

C1 დონე წარმოადგენს აკადემიურ დისკურსსა და ნატიფ სემანტიკას, სადაც ენის სრულყოფილი ფლობა გულისხმობს აკადემიურ და პროფესიულ სივრცეში სემანტიკური წიაღსვლებისა და კონოტაციების სრულ კონტროლს მაღალი აკადემიური ტერმინოლოგიის, არქაული თუ იშვიათი ფორმების, რთული სინტაქსური კონსტრუქციებისა და ფაქიზი სინონიმური რიგების (გონივრული, საღი, ნააზრევი) მეშვეობით.

ზედსართავი სახელების ათვისება და მათი ენათა ევროპული ჩარჩოს (CEFR) დონეების შესაბამისად ტალღოვნად გადასვლა მომდევნო დონეზე გადამწყვეტია მეტყველებისთვის, რადგან ის დამწყები საფეხურის უმარტივესი ფიზიკური მახასიათებლებიდან აკადემიური დისკურსის ნატიფ სემანტიკამდე აფართოებს მსმენელის ენობრივ შესაძლებლობებს. სწორედ ამ მეტყველების ნაწილის მეშვეობით ხდება საგნების, მოვლენებისა და პიროვნული განწყობების ზუსტი იდენტიფიცირება, შეფასება და ემოციურ-ექსპრესიული ნიუანსების გადმოცემა, რაც უცხო ენის არა მხოლოდ გრამატიკულად გამართულ, არამედ სტილისტურად მდიდარ, ბუნებრივ და სრულყოფილ ფლობას უზრუნველყოფს.

საკვანძო სიტყვები: ქართული ენა, როგორც უცხო ენა, ზედსართავი სახელები, კომპოზიტები, სტილისტური ფერადოვნება, ზმნიზედურ-ზედსართავი წარმომავლობის ფორმები,მეტაფორული კონტექსტები.

ქართულის, როგორც უცხო ენისადმი ინტერესი ამ საუკუნიდან განსაკუთრებით აღინიშნება. დღეს უკვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენც, ქართველებს, გვაქვს სახელმძღვანელოები, რომლებიც უკვე გაწერილია დონეების მიხედვით, დასაწყისიდან უმაღლეს დონემდე. დამწყები საფეხურის დაბეჭდილი წიგნები უკვე მრავლად არსებობს ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში. სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილია „ქართული სახლი“ და მათ მიერ შექმნილია სახელმძღვანელოთა ინტერნეტვერსია - https://geofl.ge/, ახლახან გამოშვებული ოთხდონიანი პორტალი „ათინათი“ - https://educationhouse.ge/

სახელმძღვანელოებს, ისევე როგორც ადამიანებს, თავიანთი ბედი აქვთ. სახელმძღვანელოს ვარგისიანობას მომხმარებელი ადგენს, ეს წარმატება წლებითა და წიგნის გამოცემის რაოდენობით იზომება, თან ქართული ენა მსოფლიო მასშტაბის არენაზე მოთხოვნის მიხედვით ვერ დაიკვეხნის.

ქართული ენის ფლობის დონეების ზოგადი აღწერილობა უკვე არსებობს ქართულ ენაზე A1 დონიდან C1 დონის ჩათვლით. აქ განსაზღვრულია ქართული ენის ფლობა მოსმენის, კითხვის, მეტყველებისა და წერის შესაბამისი კატეგორიებით. ინგლისურ ენაზე ყველასთვის ხელმისაწვდომია დიდი ბრიტანეთის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი, რომელიც შესრულებულია ენათა სწავლის, სწავლებისა და შეფასების რეკომენდაციათა საერთო ევროპული ჩარჩოს CEFR ექვსდონიანი სისტემის – A1, A2, B1, B2, C1, C 2 –საფუძველზე. ქართული ენის შინაგანი სტრუქტურის გათვალისწინება, ქართული ენის შეფასების ინდიკატორებსა და მტკიცებულებებზე დაყრდნობა უმნიშვნელოვანესია, რადგან თითოეული სახელმძღვანელოს შედეგები დარდება და დგინდება ენის ფლობის დონეებთან.

„სემიტა.ენის სკოლა“ უკვე სთავაზობს მომხმარებელს ქართულის, როგორც უცხო ენის სახელმძღვანელოთა სერიას „ბილიკი“, რომელშიც წარმოდგენილია ყველა დონე - A1, A2, B1, B2, C1. ზოგადად, სახელმძღვანელოთა აგებულებაზე, შიგთავსსა და სტრუქტურაზე ვისაუბრეთ წინა სტატიებში, დონეების მიხედვით განვსაზღვრეთ ზმნათა უღლების სერიებიც.

ამჯერად, ჩვენი საკვლევი თემაა ზედსართავი სახელი. მისი წარდგენა სწავლების კიბის მიხედვით. ჩვენი ინტერესია დავადგინოთ, თუ რას ეძლევა უპირატესობა ქართულ ენაში დონეებით ზედსართავი სახელის არჩევისას; როგორაა მისი ფუნქციები წარმოდგენილი; აგრეთვე, საინტერესოა შინაარსისა და ფუნქციების განშლა; როგორ ავლენს ქართული სისტემა ამ მეტყველების ნაწილით გრძნობების შეფასებას, დამოკიდებულების განსაზღვრას; მნიშვნელოვანია CEFR აღწერილობასთან შედარება, დადგენა, თუ რას აძლევა უპირატესობა - ფორმას, შედგენილობას თუ შინაარსს.

ენის სწავლების დასაწყის დონეზე საკუთარი თავის წარდგენისა და გაცნობის შემდეგ სამეტყველო ფუნქციისთვის აუცილებელია მინიმალურად მაინც შეფასებითი ფორმულირება. ამიტომ, A1 დონიდან უკვე ვიწყებთ ზედსართავი სახელების მიწოდებას. წარმოჩნდება, თუ როგორ იღებს ენა და ალაგებს ამ შეფასებითი ლექსიკითვის გამოყენებულ მეტყველების ნაწილს.

როგორც ვიცით, ინგლისური ენის, როგორც უცხო ენის სწავლებისას, GEFR-ის სტანდარტი არ ავლებს წყალგამყოფ ხაზს. სასიხარულოა, რომ ჩვენ მიერ გამოყენებული ზედსართავი სახელები ზუსტად ემთხვევა ინგლისური ენაში გააქტიურებულ ფორმებს, მაგრამ ეს ექვსი წყვილი (ცხელი- ცივი; სწრაფი -ნელი; გრძელი- მოკლე; მარტივი- რთული; სუფთა - ბინძური; მდიდარი -ღარიბი) ჩვენ არ გვაქვს A1-ში, თუმცა A2 დონის სახელმძღვანელოს დასაწყისშივე გააქტიურებულია, ბოლო ორი ნიმუშის გარდა. ამ დონეზე შემსწავლელმა უნდა შეძლოს ამ მარტვი ზედსართავი სახელების გაგება და მათი მარტივად გამოყენება.

სერია „ბილიკის“ სახელმძღვანელოს A2 დონე იწყება მე-13 კარით, ანუ გაგრძელებაა პირველი A1 წიგნისა. პირველივე კარში შემოდის ზედსართავი სახელები: „საბავშვო“; „გასართობი“; „ბოტანიკური“ „ნელი - სწრაფი“ (გვ.156) და ა.შ. 24-ე კარის ჩათვლით.

სერია „ბილიკის“ A2 დონის სახელმძღვანელოში უპირატესობას ვანიჭებთ სიტუაციურ თემებს, რომ შეძლონ კომუნიკაცია შესაფერის დონეზე. ამ დონეზე მხოლოდ მარტივ აღწერას ან დახასიათებას არ გამოხატავს შემსწავლელი. მან უნდა შეძლოს კონკრეტული აზრის, დამოკიდებულებისა და შედარების გამოხატვა ადამიანების, ადგილებისა და საგნების უფრო მეტად აღწერა. ამიტომაც ამ დონეზე ზედსართავის მთავარი ფუნქციაა: აღწერა, შეფასება, შედარება და ემოციის გამოხატვა. კიდევ აღვნიშნავ, რომ ინგლისური ენის, როგორც უცხო ენის სწავლებისას GEFR-ის სტანდარტი ტოვებს გარკვეულ პროცენტულობას, თავისუფლებას ენათა ინდივიდუალური მიდგომის გამო. ჩვენ მიერ გამოყენებული ზედსართავი სახელები ზუსტად ემთხვევა ინგლისური ენაში გააქტიურებულ ფორმებს, მაგრამ ამჯერად, A2 დონეზე, მხოლოდ სამი წყვილი არ გვაქვს გამოყენებული. ესენია: „ძლიერი - სუსტი“; „მშიერი = მწყურვალი“; „სასაცილო“; „ჭკვიანი“. ეს ორი უკანასკნელი აღნუსხულია B1 დონის სახელმძღვანელოში.

სერია „ბილიკის“ B1 დონის სახელმძღვანელოს პირველივე კარში შემოდის ზედსართავი სახელები - „აქაური, იქაური“; „ყურადღებიანი“; „დიპლომატიური“; „მრავალგვარი“; „უჩვეულო“ და ა.შ. მე-16 კარის ჩათვლით. CEFR-ის მიხედვით B1 დონეზე შემსწავლელს უკვე შეუძლია აღწეროს, დაახასიათოს არა მხოლოდ მოვლენები, მარტივი თვისებები, არამედ ემოციები, დამოკიდებულებები, ურთიერთობები, აბსტრაქციული ცნებები და შედარებები.

B1 დონის ზედსართავი სახელები უფრო ემოციურია, შეფასებითია და არგუმენტირებული. ამ დონისთვის ინგლისური ენის სტანდარტით მოწოდებული 40 ზედსართავ სახელთაგან ჩვენს, B2 დონის, „ბილიკს“ ზუსტად დაემთხვა ეს შვიდი სახელი: „ამაყი“; „საშიში“; „ძვირი“; „ჩვეულებრივი“; „პატიოსანი“; „დაღლილი“; „ნერვიული“.

ჩვენ ვითვალისწინებდით მხოლოდ მორფოლოგიურ კატეგორიას - ზედსართავ სახელს. ვითარებითი ზედსართავი სახელები წარმოდგენილია თავიდანვე A1 დონეზე, ფაქტობრივად, ერთიანად ემთხვევა ინგლისური ენის მიდგომას. ენა ენაა, უნდა ითქვას, რომ გამოყენების საშუალებები მსგავსია. ქართულში პირველ დონეზე თითო-ოროლა მიმართებილი ზედსართავი სახელია გამოყენებული. აქ სიტყვაწარმოების პრეფიქს-სუფიქსები ერთვება ფუძეს და ვღებულობთ მიმართებით ზმნიზედებს. მაგალითად, „საინტერესო“. ის საჭირო სიტყვაა და აუცილებლად გვჭირდება დასაწყისშივე. A2 დონიდან მეტია მიმართებითი ზედსართავი სახელის გამოყენების არეალი. უმეტესობა მიმართებითია, სიტყვაწარმოების პრეფიქს-სუფიქსებით. თუმცა, ასევეა ინგლისურშიც, იქ შემოდის გერუნდივის ფორმები, სხვადასხვა თავსართ-ბოლოსართი ან დაბოლოება: -ing, -ed, y და ა.შ. (interesting, tired, sandy...). მართალია, სტრუქტურით არ დაემთხვა ქართული და ინგლისური B1 დონის ზედსართავი სახელები, მაგრამ შინაარსობრივად იმავენაირადაა წარმოდგენილი. უბრალოდ ქართული ამ დონეზე აქტიურად იყენებს ვნებითი გვარის მიმღეობის ფორმებს - წარსული (გაკეთებული), მომავლი (გასაკეთებელი), უარყოფითი (გაუკეთბელი) დროის ფორმებს. ჩვენ მხოლოდ წმინდად ზედსართავ სახელებზე გვქონდა აქცენტი, ამიტომ მიმღეობის ფორმები არ აღგვიწერია ამჯერად. ანუ, კმაყოფილდება B1 დონის მოთხოვნა: ემოციურობა, შედარება, შეფასება, სოციალურ და აკადემიურ თემებში გამოსაყენებელი ზედსართავებისა და მიმღეობის თავისუფლად მოხმარება.

CEFR აღწერილობასთან შედარებულია ეს სამი დონე - A1,A2,B1 – ორივე ენაში. თვალსაჩინოა, რომ A1 დონის ზედსართავი სახელები თითქმის ემთხვევა, როგორც შინაარსის მიხედვით, ასევე გრამარტიკული ფორმითაც (ძირითადად - ვითარებითი ზედსართავებია), მხოლოდ ექვსი წყვილი არ დაემთხვა და ისინი უმალ აქტიურდება A2 დონის დასაწყისშივე. თითქმის ზედმიწევნით თანხვედრაა A2 დონის შედარებისას, სადაც მხოლოდ სამი წყვილი არ გვაქვს გამოყენებული სერია „ბილიკის“A2 დონის სახელმძღვანელოში. აქვე აღვინიშნავ, რომ უპირატესობა ეძლევა ამ დონეზე მიმართებით ზედსართავ სახელებს. მათი ფუნქციები საინტერეოდაა წარმოდგენილი, გაშლილია სტრუქტურაც, რომელიც შინაარსის გადმოსაცემადაა გააქტიურებული. B1 დონეზე, შედარებით მაღალ დონეზე, ქართული სისტემა უმეტესად მიმღობის ფორმებით ახდენს გრძნობების შეფასებას, დამოკიდებულების განსაზღვრას. რეალურად დადგინდა, რომ პირველ დონეზე (A1) იწყება ვითარებითი ზედსართავი სახელებით აღწერისა და შეფასების შინაარსის გადმოცემა; შემდგემ, მეორე დონეზე (A2), ნელ-ნელა ფართოვდება არეალი და მეტწილად გამოყენებულია მიმართებითი ზედსართავი სახელები; მესამე დონის (B1) წარმოდგენისას ფრთებს შლის მიმღეობის ფორმები და უხვადაა გამოყენებული, რათა შემსწავლელმა ზედმიწევნით გამოხატოს ამა თუ იმ რამის შეფასება, დაადგინოს უპირატესობა - ფორმას, შედგენილობასა და შინაარსს შორის.

B2 დონე კიდევ უფრო საინტერესოა ენობრივად და სისტემურად როგორ იხსნება კავშირები სახელმძღვანელოში- „ბილიკი III“- პირველივე კარში შემოდის ზედსართავი სახელები/მიმღეობა: „მთაგორიანი“; „საოცარი“; „ხელოვნური“; „ბუნებრივი“; „ნამდვილი“; „წარმოუდგენელი“; „სახელგანთქმული“; „უცნაური“; „აღფრთოვანებული“ (ნ.შ. გვ.7) და ა.შ. მე-12

კარის ბოლომდე. B2 დონე ორივე ენაში წარმოადგენს მნიშვნელოვან გარდამტეხ ეტაპს (Threshold/Upper-Intermediate), სადაც სწავლების აქცენტი გადადის მარტივი, ფიზიკური აღწერებიდან (A1-A2-B1 დონეები) აბსტრაქტული აზროვნების, ლოგიკური მიმართებების, პროფესიული და აკადემიური დისკურსის ათვისებაზე. მიუხედავად ამ საერთო სემანტიკური მიზნისა, ორივე ენის მორფოლოგიური და სტრუქტურული ბუნება განსხვავებულ გზებს იყენებს: ლექსიკურ-სემანტიკური დამთხვევა: ორივე ენის B2 პროგრამაში ზედსართავები ემსახურება საგნის მნიშვნელობის ხარისხის, ადამიანის შინაგანი თვისებების, პირობითი სტატუსისა და პროცესების ნიუანსების გადმოცემას. გრამატიკული მიდგომაც განსხვავებულია და ინგლისური ენა ეყრდნობა ანალიტიკურ სისტემას და უცვლელ ფორმებს, სადაც აბსტრაქტული და საერთაშორისო ლათინურ-ბერძნული ფუძეები (*effective, complex, responsible*) უცვლელად რჩება მიუხედავად ბრუნვისა თუ რიცხვისა. ქართული ენა კი იყენებს მდიდარ აგლუტინაციურ-ფლექსიურ სტრუქტურას, სადაც ზედსართავი სრულად ეთანხმება არსებით სახელს (ბრუნვა/რიცხვი) და განსაკუთრებით დიდია ზმნური წარმოშობის ფორმების (მიმღეობების) წილი (დაზიანებული, გაბრაზებული, შეფუთული), რაც ენას განსაკუთრებულ დინამიკურობას სძენს.

C1 დონის „ბილიკის“ სახელმძღვანელოში პირველივე კარში შემოდის ზედსართავი სახელები/მიმღეობა: „წარმოდგენილი“; „ძირძველი“; „დახვეწილი“; „აღიარებული“; „სასიხარულო“; „სასირცხვილო“; „სრულყოფილი“; „შემცირებული“; „შენარჩუნებული“; „ჩამოყალიბული“ (ნ.შ. გვ.13) და ა.შ. მე-12 კარის ბოლომდე.

ორივე ენის C1 დონის ეს აკადემიური, ანალიტიკური და შეფასებითი ზედსართავი სახელები სრულ თანხვედრაშია ერთმანეთთან და იდეალურად ავსებს ერთმანეთს. ლექსიკის სტრუქტურული შედარებამ თემატური კატეგორიების მიხედვით აჩვენა, თუ როგორ გამოიყენება ორივე ენაში მსგავსი ნიუანსები მაღალი დონის არგუმენტაციისთვის.

C1 დონის აკადემიური და პროფესიული ზედსართავი სახელების ცნებების ღრმა ანალიზი გვიჩვენებს, რომ ორივე ენაში ეს ლექსიკა მკაცრად სტრუქტურირებული და მრავალმხრივია. ისინი განკუთვნილია არა ზედაპირული კომუნიკაციისთვის, არამედ რთული, ნიუანსირებული, მტკიცედ არგუმენტირებული აზრის გადმოსაცემად. შესაძლებელია გამოვყოთ ძირითადი კატეგორიები: პირველი, მეთოდოლოგიური და ანალიტიკური კვლევისა და სტრუქტურის აღწერა სამეცნიერო ფუნდამენტია: ქართული „მეთოდოლოგიური, სისტემური, ემპირიული“ და ინგლისური Methodological, Systemic, Empirical აყალიბებს კვლევის მყარ და ფაქტობრივ საფუძველს. მეორე, კრიტიკული აზროვნება და შეფასებითი კატეგორიები, არგუმენტაციის სიმტკიცე, საკვანძო მნიშვნელობები: ქართული „ფუნდამენტური, პრინციპული“ და ინგლისური Pivotal (საკვანძო), Crucial (გადამწყვეტი) გამოიყენება მაშინ, როდესაც საჭიროა პროცესის ან პრობლემის უმთავრესი წერტილების გამოკვეთა. აკადემიური სიზუსტისთვის ინგლისური Rigorous (მკაცრი, ზედმიწევნითი), Plausible (დამაჯერებელი) და Feasible (განხორციელებადი) უზრუნველყოფს მსჯელობის ლოგიკურ გამართულობასა და პრაქტიკულ რეალიზებადობას. მესამე, კონტექსტუალური და დისკურსული დიფერენციაცია (აზრის ფაქიზი ნიუანსები) ფარული და აშკარა შრეები: ინგლისური დაპირისპირება Implicit (ნაგულისხმევი/ფარული) და Explicit (აშკარა/მკაფიო) ტექსტში ქვეტექსტებისა და ავტორის ზუსტი პოზიციის გამოსავლენად შეუცვლელია. ობიექტურობა და სადავო საკითხები საინტერესოა, რადგან ქართული „ობიექტური / არგუმენტირებული“ და ინგლისური Objective /

Controversial გვეხმარება დისკუსიისა და დებატების ფარგლებში დისტანცირებული და არგუმენტირებული პოზიციის შენარჩუნებაში.

საბოლოოდ, CEFR აღწერილობასთან შედარდა ჩვენი სერია„ბილიკის“ სახელმძღვანელოები დონეების მიხედვით. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ A1 და A2 დონის ზედსართავი სახელები ზედმოწევნით ემთხვევა,უმცირესი გამონაკლისის გარდა; სტრუქტურით არ დაემთხვა ქართული და ინგლისური B1 დონის ზედსართავი სახელები, მაგრამ შინაარსობრივად იმავენაირადაა წარმოდგენილი. უბრალოდ ქართული ამ დონეზე აქტიურად იყენებს ვნებითი გვარის მიმღეობის ფორმებს - წარსული (გაკეთებული), მომავლი (გასაკეთებელი), უარყოფითი (გაუკეთბელი) დროის ფორმებს. ორივე ენის B2 პროგრამაში ზედსართავები ემსახურება საგნის მნიშვნელობის ხარისხის, ადამიანის შინაგანი თვისებების, პირობითი სტატუსისა და პროცესების ნიუანსების გადმოცემას. გრამატიკული მიდგომა განსხვავებულია ტიპოლოგია.

ქართული ენა კი იყენებს მდიდარ აგლუტინაციურ-ფლექსიურ სტრუქტურას, სადაც ზედსართავი სრულად ეთანხმება არსებით სახელს (ბრუნვა/რიცხვი) და განსაკუთრებით დიდია ზმნური წარმოშობის ფორმების (მიმღეობების) წილი (დაზიანებული, გაბრაზებული, შეფუთული), რაც ენას განსაკუთრებულ დინამიკურობას სძენს. C1 დონის ზედსართავი სახელები ენობრივ აზროვნებას მატებს სიღრმეს, სიზუსტესა და აკადემიურ წონას. მათი სწორი და ადეკვატური შერჩევა ავტორს აძლევს საშუალებას, ტექსტი გახადოს მაქსიმალურად დამაჯერებელი, ლოგიკური და პროფესიული.

ლიტერატურა:

1. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 20 ივნისი; დადგენილება # 394/დანართი 4 - ქართული ენის ფლობის დონეების ზოგადი აღწერილობა, თბილისი, 2020
2. ოძელი, მ., – ქართული ენის ფლობის დონეების აღწერილობა. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ევროპის საბჭოს ერთობრივექტი. თბილისი, 2016
3. შანიძე, ა., - თხზულებანი თორმეტ ტომად. ქართლი ენის გრამატიკის საფუძვლები. III ტომი, თბილისის უნივერსიტეტის გამოცემა, თბილისი, 1980
4. შავთვალაძე ნ., სახელმძღვანელო „ქართული ენა ინგლისურენოვანთათვის“. სერია ,,ბილიკი”. დონე I, A2. „მოსწავლის წიგნი“ მოსასმენი მასალით. მეხუთე გამოცემა. გამომცემლობა ,,ფორმა“. 2022 (2019, 2014, 2012, 2006).
5. შავთვალაძე ნ., სახელმძღვანელო „ქართული ენა ინგლისურენოვანთათვის“. სერია ,,ბილიკი”, დონე AI/A2, ,,სამუშაო რვეული”, მეორე გამოცემა. გამომცემლობა ,,ფორმა“. 2013 (2008).
6. შავთვალაძე ნ., სახელმძღვანელო „ქართული ენა ინგლისურენოვანთათვის“, სერია ,,ბილიკი”. დონე AI/A2, ,,ქართული დიალოგები”. საკითხავი მასალა. მესამე გამოცემა. გამომცემლობა „ფორმა“. გამომცემლობა ,,ფორმა“. 2021 (2014, 2007).
7. შავთვალაძე ნ., სახელმძღვანელო „ქართული ენა ინგლისურენოვანთათვის“. სერია ,,ბილიკი”. დონე I, A 1, „მოსწავლის წიგნი“ მოსასმენი მასალით. მეექვსე გამოცემა. გამომცემლობა ,,ფორმა“. 2025 (2022, 2019, 2014, 2012, 2006).
8. შავთვალაძე ნ., სახელმძღვანელო „ქართული ენა ინგლისურენოვანთათვის“. სერია ,,ბილიკი”. დონე II, B1, „მოსწავლის წიგნი“ მოსასმენი მასალით. მესამე გამოცემა. გამომცემლობა ,,ფორმა“. 2023 (2013, 2008).
9. https://eqe.ge/ka/page/static/665/profesiuli-standartebi
10. http://www.geofl.ge/lego/doneebiLevel.php?parent=56

11. http://www.educationhause.ge/
12. https://www.coe.int/en/web/common-european-framework-reference-languages/level-descriptions
13. https://rm.coe.int/georgian-reference-level-descriptions-a1-a2-b1-b2-cefr/168077b6f5

Nana Shavtvaladze
University of Georgia
www.ug.edu.ge
Tbilisi, Georgia
e-mail: nana.shavtvaladze@ug.edu.ge
https://doi.org/10.52340/lac.2026.36.26
SJIF 2026: 8.679

Teaching Adjectives in Georgian According to A1–C1 Levels

(In Accordance with the Common European Framework of Reference for Languages)

In the process of teaching Georgian as a foreign language, the gradation of each part of speech is based on a strict methodological framework. While at the beginner levels (A1–B1) the focus is primarily on simple structures, singular/plural agreement, and adjectives expressing basic qualities, at the B2 and C1 levels the picture changes radically—the emphasis shifts to syntactic nuances, composites, stylistic coloring, forms of adverbial-adjective origin, and metaphorical contexts. The purpose of our article is to comprehensively demonstrate the function, essence, and action of this part of speech.

In teaching Georgian as a foreign language (the "Biliaki" series, "Semita Language School"), the gradation of each part of speech relies on a rigorous methodological grid. The system of presentation and functional unfolding of adjectives, in accordance with the six-level scale of the Common European Framework of Reference for Languages (CEFR), looks as follows:

- **A1 Level** focuses on basic qualities and specific traits—expressing the simplest physical characteristics, colors, size, and taste in an immediate environment using simple adjectives (*big, small, red, black, good, hot*), basic cases, and agreement with nouns.
- **A2 Level** increases the demand for detailed descriptions of objects and people, initial psychological states, and the comparative degree, where the formation of comparatives (*bigger, the best*) and words denoting character/mood (*kind, friendly, tired*) are actively used.
- **B1 Level** already includes abstract concepts and multi-component descriptions, the expression of complex attributes and qualitative features, incorporating root-derived and compound adjectives, the substantivization of adjectives (use as nouns: *the beautiful / the beautiful ones*), and abstract concepts (*difficult, effective, necessary*).
- **B2 Level** shifts focus to stylistic nuances, complex composites, and epithets, serving to master elements of literary and journalistic speech, emotional attitudes, and subtle nuances of evaluation through multi-root composites (*hardworking, dedicated*), affective-expressive evaluations, and abbreviated forms.
- **C1 Level** represents academic discourse and subtle semantics, where full mastery of the language implies complete control over semantic shifts and connotations in academic and

professional settings through high academic terminology, archaic or rare forms, complex syntactic structures, and delicate synonym sets (*reasonable, sound, well-thought-out*).

The acquisition of adjectives and their smooth, wave-like transition to subsequent levels in accordance with CEFR is crucial for speech, as it expands the learner's linguistic capabilities from the simplest physical characteristics of the beginner stage to the subtle semantics of academic discourse. Through this very part of speech, accurate identification, evaluation, and expression of emotional-expressive nuances of objects, events, and personal moods take place, ensuring not only the grammatically correct, but also the stylistically rich, natural, and fluent command of a foreign language.

Keywords: Georgian as a foreign language, adjectives, composites, stylistic coloring, forms of adverbial-adjective origin, and metaphorical contexts.

რეცენზენტი: პროფესორი მანანა მიქაძე